განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მევენახეობა და მეღვინეობა“
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები 11-12 ნოემბერი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი:
19.11.2021 წ.

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მევენახეობა და მეღვინეობა Viticulture and Winemaking
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი Master of Viticulture and Enology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას - 0888 Inter-disciplinary – involving Agriculture, forestry, fisheries and veterinary - 0888
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული გადაწყვეტილება № 408241 25.05.2020

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოლანი გოცირიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ედვარდ შერმადინი - საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხუბულია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სტუ-ში 2014 წელს შეიქმნა აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, სადაც ხორციელდება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „მევენახეობა და მეღვინეობა“ აკრედიტაციის საბჭომ 2015 წლის 18 მარტს N43 გადაწყვეტილების საფუძველზე მიანიჭა აკრედიტაცია.

2020 წელს პროგრამამ გაიარა რეაკრედიტაცია. აკრედიტაცის ეროვნული საბჭოს 2020 წლის 25 მაისის #408241 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლითა და ექვსი თვის ვადით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

ა) შეიცვალოს მისანიჭებელი კვალიფიკაცია ამჟამინდელი მისანიჭებელი კლასიფიკაციის მიხედვით და ჩამოყალიბდეს როგორც 0811.1.2 - მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი;

ბ) დაზუსტდეს და პროგრამის რელევანტურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საგანი „მოწყობილობათა ოპერაციები“ გახდეს სავალდებულო და აისახოს პროგრამის შედეგებში;

დ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოების შინაარსი და თემატიკა;

ე) გადაიხედოს საგნის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა და მიეთითოს თემატიკის ადეკვატური და შესაბამისი მასალა;

ვ) დაზუსტდეს სათაური საგანში „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა“ და შესაბამისად გადაიხედოს შინაარსი;

ზ) ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმიის ოთხი საკითხი წარმოადგენს გადაფარვას ღვინის მიკრობიოლოგიის გაღრმავებული კურსის საკითხებთან. ღვინის ქიმიის სასწავლო კურსის სამი საკითხი წარმოადგენს ყურძნის ტკბილის და ღვინის ბიოქიმიის სასწავლო კურსის საკითხების გადაფარვას, შესაბამისად აღმოიფხვრას არსებული გადაფარვები;

თ) სილაბუსებში დეტალურად გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასების სისტემა და კრიტერიუმები;

ი) სილაბუსს „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ დაემატოს თემატიკა კვლევის მეთოდების და მეთოდოლოგიის მიმართულებით;

კ) სილაბუსში „საველე და საწარმოო პრაქტიკა“ გაიზარდოს სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისთვის განსაზღვრული დრო და იყოს ორიენტირებული სტუდენტის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ საქმიანობაზე. უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების უშაულო პრაქტიკული მუშაობა და დეტალურად გაიწეროს მათი შეფასების კრიტერიუმები;

ლ) პროგრამაში დასაქმებულმა აკადემიურმა პერსონალმა გააქტიუროს საქმიანობა კვლევითი რეპუტაციის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო კვლევებში მონაწილოების მიმართულებით;

მ) დაწესებულებამ ხელი შეეწყოს აკადემურ პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებასა და კვლევების საერთაშორისო დონეზე განხორციელებას;

ნ) დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს მონიტორინგი სილაბუსებსა და პროგრამაზე, ასევე მათ ტექნიკურ და შინაარსობრივ გამართულობაზე ეფექტური ზედამხედველობა.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS კრედიტს.

მევენახეობა და მეღვინეობა ქვეყანაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს, ღვინის როგორც ტექნოლოგიების, ასევე მეცნიერული მიმართულების ბაზარი წარმოადგენს სწრაფად განვითარებად მიმართულებას, რაც ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ღვინოების წარმოებას. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფოს სტრატეგიული გეგმის მიხედვით მნიშვნელოვანია მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოება და ასევე ქართული ღვინის გაყიდვების მსოფლიო ბაზრების გაფართოება. ამისათვის სახელმწიფოს ინტერესშია ჰყავდეს საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული კვალიფიციური კადრი, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, როგორიცაა „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო პროგრამა.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს:

- მსოფლიო მევენახეობის დარგში ვაზის ჯიშურ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ვენახის გაშენება-მოვლის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდები, ვენახში ჩასატარებელი აგროტექნოლოგიური პროცესების სრული ციკლი და მართვის თავისებურებები.
- მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მსოფლიო ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში ყურძნის გადამუშავების ტრადიციული, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები; ღვინისა და სასმელების ხარისხისა და სენსორული შეფასების საერთაშორისო მეთოდები და პრაქტიკაში დანერგილი სისტემები, საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ექსპერიმენტების დაგეგმვა-მართვა.
- მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი/მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი, რომელიც მართავს წარმოების სრულ ჯაჭვს ვენახის გაშენებიდან - საბოლოო პროდუქტის მიღებამდე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ვიზიტი განხორციელდა 11 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ვიზიტის დროს ექსპერთა ჯგუფის წევრების მიერ (ოლანი გოცირიძე (თავმჯდომარე); ედვარდ შერმადინი) შემოწმდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, აუდიტორიები, სადეგუსტაციო დარბაზი, ბიბლიოთეკა. ასევე შემთხვევითი შერჩევის გზით შემოწმდა ბოლო 5 წელიწადში შესრულებული სამაგისტრო ნამუშევრები.

12 ოქტომბერს აკრედიტაციის ექსპერტთა სრულმა შემადგენლობამ (ოლანი გოცირიძე - (თავმჯდომარე); ედვარდ შერმადინი, ქრისტინე ჩიხლაძე, ნინი ხუბულია (წევრები)) დისტანციურად განახორციელა პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, უნივერსიტეტში ვიზიტის, გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტების შესწავლის, ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, საგანმანათლებლო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების საფუძველზე.

აკრედიტაციის პროცესმა ჩაიარა მშვიდად, კონსტრუქციული თანამშრომლობის ვითარებაში. კომისიის წევრებმა დაუბრკოლებლად მიიღეს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და პასუხები დასმულ კითხვებზე

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4 სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5 სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში შემცირდეს უცხო ენის შემსწავლელი კურსების ECTS კრედიტების რაოდენობა. ეს შესაძლებელია ორი გზით: ან ერთ-ერთი სასწავლო კურსი (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა)

გადავიდეს არჩევით მოდულში, ან მოხდეს ამ ორი სასწავლო კურსის ოპტიმიზაცია ერთ სასწავლო კურსად. გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან გადმოტანილ იქნას პროფესიული განვითარებისათვის უფრო მეტად ღირებული სასწავლო კურსი (ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ვაზის სელექცია; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა).

2. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სასწავლო კურსი, რომლის მიზანი იქნება აკადემიური წერის ჩვევების განვითარება მაგისტრანტებისთვის, მათ მიერ მეცნიერული აზროვნებისა და ადეკვატური ტექსტების შექმნის უნარის გამომუშავება, დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე და მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს.
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ გაიზარდოს მეღვინეობის ფუნდამენტური საკითხებისათვის განკუთვნილი სალექციო საათების რაოდენობა, დაემატოს ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის და ორგანული/ბიოდინამიური მეღვინეობის აქტუალური საკითხები.
4. რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ყურძნისა და ტკბილის ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების შესწავლა შესაბამის სასწავლო კურსში „ღვინის ქიმია“ ან „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“.
5. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ობიექტური შეფასებისათვის სამაგისტრო დაცვების კომისიის თავმჯდომარედ მოწვეულ იქნას დარგის სპეციალისტი, რომელიც დაცვის მომენტისათვის არ არის უსდ-ს აკადემიური პერსონალის წევრი და ასევე რეცენზენტად შერჩეულ იქნას პირი, რომელიც რეცენზირების დროს არ არის უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე.
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში აქტიური თანამონაწილეობა.
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.
8. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, პირველ ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს პერიოდული მონიტორინგი დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა, ხოლო მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, შემდგომ ეტაპზე, უზრუნველყონ უნივერსიტეტის გარე დარგის წარმომადგენლის/ექსპერტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, პროგრამის სამუშაო გჯუფის მიერ მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება ისე, რომ ერთ სწავლის შედეგში არ ერთიანდებოდეს რამდენიმე სწავლის შედეგი. აღნიშნული გაუმარტივებს დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.
2. პროგრამაში გაიზარდოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო დისციპლინების არჩევის შესაძლებლობა მინიმუმ ორამდე მაინც.
3. სილაბუსებში ჩასწორდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი. ჰილარიუს პუტცის სახელძღვანელოები „მევენახეობა“ და „მეღვინეობა“ გადატანილ იქნას შესაბამისი სილაბუსების დამატებით ლიტერატურაში.
4. სასწავლო კურსებში „ამპელოგრაფია“ და „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა“ სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურაში მიეთითოთ შესაბამისი მიმართულების თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროები.
5. სასწავლო კურსის „მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“ სახელწოდებიდან ამოღებულ იქნას „მსოფლიო ღვინო პროდუქცია“ და ეწოდოს „ღვინის სენსორული შეფასება“.
6. სასწავლო კურსში „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“ სტუდენტთა სწავლის შეფასების მეთოდები შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეიცვალოს და გახდეს სრულად ლაბორატორიული კურსისათვის უფრო ადეკვატური.
7. სასურველია, პროგრამის სილაბუსებში კონკრეტულად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ფაკულტეტზე არსებული კონსულტაციების შესახებ.
8. სასურველია ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული ლაბორატორიული ბაზების ეფექტიანი გამოყენებით საგრანტო-სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გააქტიურება და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.
9. სასურველია, ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტებში განსაზღვრული იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები, აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო და კარიერული აქტივობის დაფინანსების/წახალისებისათვის განკუთვნილი ხარჯები.
10. მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით.
11. პროგრამის მდგრადობისა და სტაბილური განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი საწარმოო ბაზის არსებობა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს თანამშრომლობას ევროპის უნივერსიტეტებთან:

სუპაგრომონპელიესთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=11371;

მილანის უნივერსიტეტთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=8545;

გაიზენჰაიმის უნივერსიტეტთან http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=12106;

მონაწილეობს სტუდენტთა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამებში;

2019 წლიდან ფაკულტეტი წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტში VITA GLOBAL-პარტნიორ უნივერსიტეტს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასოცირებული პარტნიორი Montpellier Supagro – EMaVE consortium (2018-2019 წლები). აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა პროფესორ-მასწავლებლები გააგზავნოს საფრანგეთის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად. ასევე რეგულარულად ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები ლექციების ჩასატარებლად. სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, ასევე უცხოელი სტუდენტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოდიან საქართველოში როგორც პრაქტიკის, ასევე სასწავლო კურსის გასავლელად.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა მოწინავე უნივერსიტეტების (სუპაგრომონპელიე; შვეიცარიის, ლოზანას უნივერსიტეტი; ბურგენლანდის უნივერსიტეტი; გაიზენჰაიმის უნივერსიტეტი; მილანის უნივერსიტეტი) გამოცდილება მსგავსი პროგრამების განხორციელების კუთხით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით შეიქმნა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, მოხდა კონკრეტული დავალებების გადანაწილება წევრებს შორის, ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი. შესაბამისად, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, იყო აგრარული მეცნიერებების მაგისტრი, გახდა - მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრი (0811);
2. დაზუსტდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, იყო: „მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ (01) აგრარული მეცნიერების, (05) მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები)“. გახდა: „მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ

ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით - ინტერდისციპლინური - "მევენახეობა და მეღვინეობა"; „ბიოლოგია"; „გარემოსმცოდნეობა"; „სურსათის გადამუშავება"; „მემცენარეობა და მეცხოველობა"; „მებაღეობა";), რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები)".

3. დაკორექტირდა პროგრამის დაშვების წინაპირობა და დაემატა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა;

4. დაკორექტირდა პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მოვიდა შესაბამისობაში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებასთან;

5. კვლევითი კომპონენტის შეფასება განხორციელდა ერთჯერადად;

6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „მოწყობილობათა ოპერაციები" (4 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადავიდა ძირითად სასწავლო კურსებში. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა: პროგრამის აღწერაში, სწავლის შედეგებში/კომპეტენტურობებში (ზოგადი და პროფესიული); პროგრამის საგნობრივ დატვირთვასა და სასწავლო გეგმაში;

7. შეეცვალა დასახელება შემდეგ სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი): ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) - 5 კრედიტი და გახდა საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული) - 5 კრედიტი;

8. დაკორექტირდა სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) „ღვინისა და სასმელების ლოჯისტიკა" (4 კრედიტი) შინაარსი და დაზუსტა მისი დასახელება და ეწოდა „მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება" (4 კრედიტი);

9. დაკორექტირდა სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსი) „ყურძნის ტკბილისა და ღვინის ბიოქიმია" (4 კრედიტი) მიზანი, შედეგები, შინაარსი. დაზუსტდა მისი დასახელება და ეწოდა „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები" (4 კრედიტი); იყო: ლექცია 15 სთ ლაბორატორიული 15 სთ; გახდა -ლაბორატორიული - 30სთ; იყო პირველ სემესტრში, გადავიდა მეორე სემესტრში და დაშვების წინაპირობად განესაზღვრა „ღვინის ქიმია";

10. რეკომენდაციის შესაბამისად გაიზარდა სტუდენტების პრაქტიკული მუშაობისათვის განსაზღვრული დრო. პროგრამით გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი): „საველე და საწარმოო პრაქტიკა" (5 კრედიტი)" ; გახდა: „საველე პრაქტიკა მევენახეობაში" (5 კრედიტი) და „საწამოო პრაქტიკა ღვინის საწარმოში" (5 კრედიტი).

11. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ნიადაგი და ვაზის ეკოლოგია" (4 კრედიტი) შეეცვალა დასახელება და გახდა „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა" არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადავიდა ძირითად სასწავლო კურსებში, რაც ასახული იქნა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში და სასწავლო გეგმაში;

12. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია" (6 კრედიტი) იყო მეორე სემესტრში, გადატანილ იქნა პირველ სემესტრში;

13. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ღვინის მიკრობიოლოგიის გაძიერებული კურსი“ იყო 4 კრედიტი (ლექცია - 15 სთ, ლაბორატორიული - 15 სთ); გახდა 5 კრედიტი (ლექცია - 15 სთ, ლაბორატორიული - 30 სთ);

14. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ღვინის წარმოების ხარისხის მართვა“ (4 კრედიტი) ძირითადი სასწავლო კურსებიდან გადავიდა არჩევით სასწავლო კურსებში;

15. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ღვინის ტურიზმი და მარკეტინგი” (6 კრედიტი) დაიყო ორ სასწავლო კურსად: „ღვინის ტურიზმი“ (4 კრედიტი) და „ღვინისა და სასმელების მარკეტინგი“ (4 კრედიტი) და გადავიდა არჩევით სასწავლო კურსებში;

16. ძირითად სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) „ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია“ (4 კრედიტი) და ასახულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის გრაფებში.

17. თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებს (4 კრედიტი) დაემატა შემდეგი სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსი):

- „აგროდაზღვევა“– 4 კრედიტი;
- „საღვინე ყურძენი და მსოფლიო მევენახეობის რეგიონები“ - 4 კრედიტი;
- „ვაზის სელექცია“ – 4 კრედიტი;
- „მსოფლიო ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები“ – 4 კრედიტი;
- „აგროკლიმატური რესურსები და კლიმატის ცვლილება“ - 4 კრედიტი;
- „ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია“ - 4 კრედიტი;

18. თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან (4 კრედიტი) ამოღებულ იქნა შემდეგი სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსი):

- „საწარმოო ნარჩენების მართვა“ - 4 კრედიტი;
- „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“- 4 კრედიტი.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე:

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის წერილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებისა და უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით გაცემული რეკომენდაციები და რჩევები დარჩა უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს: ➢ მსოფლიო მევენახეობის დარგში ვაზის ჯიშურ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ვენახის გაშენება-მოვლის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდები, ვენახში ჩასატარებელი აგროტექნოლოგიური პროცესების სრული ციკლი და მართვის თავისებურებები. ➢ მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მსოფლიო ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში ყურძნის გადამუშავების ტრადიციული, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები; ღვინისა და სასმელების ხარისხისა და სენსორული შეფასების საერთაშორისო მეთოდები და პრაქტიკაში დანერგილი სისტემები, საერთაშორისო სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში ექსპერიმენტების დაგეგმვა-მართვა. ➢ მოამზადოს თეორიული და პრაქტიკული უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრი/მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი, რომელიც მართავს წარმოების სრულ ჯაჭვს ვენახის გაშენებიდან - საბოლოო პროდუქტის მიღებამდე. პროგრამა ითვალისწინებს მევენახეობა და მეღვინეობის მაგისტრის (0811.3.1) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არსებული ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის შექმნას, რომელსაც შეუძლია მართოს ღვინის წარმოების სრული ჯაჭვი, ყურძნის მოყვანა გაშენებიდან - საბოლოო მოხმარებლამდე. შეთავაზებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგადაა ფოკუსირებული სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიის უშუალო რეალიზაციაზე და ამასთანავე იგი მნიშვნელოვან როლს შეიტანს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ახალი თაობის სპეციალისტების ჩამოყალიბებაში, ხელს შეუწყობს არსებული ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას ბაზარზე. მიზნები არის ხელმისაწვდომი და საჯარო. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ონლაინ, ხოლო ადმინისტრაციაში ხელმისაწვდომია ბეჭდვითი სახით. სასწავლო პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა მიმართულებას, მათ

შორის - საგარეო ურთიერთობების განვითარებას. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების განვითარება. უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების ამოცანაა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ხილვადობის ზრდა და გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება
  - https://gtu.ge/Agro/pdf/agros_debuleba_2018.pdf;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ახორციელებს თანამშრომლობას ევროპის უნივერსიტეტებთან:
სუპაგრომონპელიესთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=11371;
მილანის უნივერსიტეტთან - http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=8545;
გაიზენჰაიმის უნივერსიტეტთან http://gtu.ge/Agro/News/?ELEMENT_ID=12106;
მონაწილეობს სტუდენტთა ERASMUS+ გაცვლითი პროგრამებში;

2019 წლიდან ფაკულტეტი წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტში VITA GLOBAL-პარტნიორ უნივერსიტეტს.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასოცირებული პარტნიორი Montpellier Supagro – EMaVE consortium (2018-2019 წლები). აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა პროფესორ-მასწავლებლები გააგზავნოს საფრანგეთის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად. ასევე რეგულარულად ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ჩამოდიან პროფესორ-მასწავლებლები ლექციების ჩასატარებლად. სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ გაცვლით პროგრამებში, ასევე უცხოელი სტუდენტები გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩამოდიან საქართველოში როგორც პრაქტიკის, ასევე სასწავლო კურსის გასავლელად.

პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა მოწინავე უნივერსიტეტების (სუპაგრომონპელიე; შვეიცარიის, ლოზანას უნივერსიტეტი; ბურგენლანდის უნივერსიტეტი; გაიზენჰაიმის უნივერსიტეტი; მილანის უნივერსიტეტი) გამოცდილება მსგავსი პროგრამების განხორციელების კუთხით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზნები მიიღწევა ქვემოთ მოცემული სასწავლო კურსების საშუალებით.

სავალდებულო: ამპელოგრაფია; ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა; ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია; ღვინის ქიმია; ღვინის მიკრობიოლოგიის გაძლიერებული კურსი; ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია; მოწყობილობათა ოპერაციები; ვაზის მავნებელ-დაავადებები და

ინტეგრირებული დაცვის მეთოდები; ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები; ვენახის ოპერაციული მართვა; საველე პრაქტიკა მევენახეობაში; კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი; მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება; საწარმოო პრაქტიკა ღვინის საწარმოში; საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული); დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა ((ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული); სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (კვლევითი კომპონენტი).

არჩევითი: მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; აგროდაზღვევა; საღვინე ყურძენი და მსოფლიო მევენახეობის რეგიონები; ღვინისა და სასმელების მარკეტინგი; ვაზის სელექცია; ღვინის ტურიზმი; მსოფლიო ღვინოები და ღვინის წარმოების მეთოდები; აგროკლიმატური რესურსები და კლიმატის ცვლილება; ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა.

პროგრამის ზოგადი და პროფესიული შედეგები მართალია ადეკვატურად აღწერს იმ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, მაგრამ არის ძალიან დაკონკრეტებული და დეტალიზებული. ერთ შედეგში გაერთიანებული და თავმოყრილია რამდენიმე სწავლის შედეგი, რაც ვფიქრობთ, სამომავლოდ გაართულებს მათ შეფასებას. სასურველია, პროგრამის სამუშაო გჯუფის მიერ მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება ისე, რომ ერთ სწავლის შედეგში არ ერთიანდებოდეს რამდენიმე სწავლის შედეგი. აღნიშნული გაუმარტივებს დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანამიმდევრულად, პირდაპირი და ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით, რისთვისაც შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებსა და მიდგომებს. სწავლის პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი არის გაზომვადი და ნათელყოფს სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი პერიოდულობით.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში, ჩართულები არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები და ა.შ. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ანალიზს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

შეფასების ანალიზის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება ისე, რომ ერთ სწავლის შედეგში არ ერთიანდებოდეს რამდენიმე სწავლის შედეგი. აღნიშნული გაუმარტივებს დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით: ინტერდისციპლინური - "მევენახეობა და მეღვინეობა"; „ბიოლოგია"; „გარემოსმცოდნეობა"; „სურსათის გადამუშავება"; „მემცენარეობა და მეცხოველობა"; „მებაღეობა"), რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/study/index.php, გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში. გარე და შიდა მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შესაბამისად,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომი პროცედურებით. ცხადია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკური, ადეკვატური და სამართლიანია, უზრუნველყოფს პროგრამაზე დარგით დაინტერესებული და ისეთი კვალიფიკაციის მქონდე მაგისტრანტების მიღებას, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული თეორიული ცოდნის ათვისებასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – https://gtu.ge/AboutStu/regulation.php ; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუ–ს სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია”; • ინტერვიუების შედეგები; • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის №2691 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gtu.ge/. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია აგრარული მეცნიერებების ბიოსისტემებისა და ინჟინერინგის ფაკულტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS); ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო პროგრამის გეგმაში.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში "მევენახეობა და მეღვინეობა" 120 კრედიტის განაწილება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 80 კრედიტი. მათგან 76 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 4 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საველე და საწარმოო პრაქტიკას ჯამში 10 კრედიტის მოცულობით. კვლევით კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი.

მაგისტრატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია დოკუმენტში „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ" .

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკური და თანმიმდევრულია.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია სწავლის მიზნებთან და მეტწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე გასვლას.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში საკმაოდ დიდი ადგილი

ეთმობა (10 ECTS) უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) შესწავლას (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა), რომლის მიზანია ამ ენებზე საქმიანი კომუნიკაციის თეორიული ასპექტების შესწავლა და ენობრივი პრაქტიკული უნარების გაძლიერება, დარგობრივი ტექსტებისათვის სპეციფიკური რთული გრამატიკული კონსტრუქციების ათვისება და სხვ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამა არის ქართულენოვანი, ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა.

(უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის", ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org). ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო):

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას; მოსმენისას და კითხვისას სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები.)

შესაბამისად, სტუდენტი ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას B2 დონის საფუძველზე თავისუფლად შეძლებს და ამავდროულად გაიღრმავებს პროფესიულ ცოდნას იმ შემთხვევაში, თუ: აღნიშნული სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი მაინც გადავა არჩევით მოდულში. გამოთავისუფლებული კრედიტები კი დაეთმობა მევენახეობა- მეღვინეობის დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებისათვის უფრო მეტად პრიორიტეტულ სასწავლო კურსებს, რომლებიც შეთავაზებულია სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსების მოდულში. ასეთებია: ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ვაზის სელექცია; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა და სხვ. ამავდროულად სტუდენტს კვლავ ექნება შესაძლებლობა, საკუთარი სურვილის შესაბამისად გაიღრმავოს ცოდნა როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენაში. იგივე შედეგი დადგება, თუ მოხდება უცხო ენის შემსწავლელი ორი სავალდებულო სასწავლო კურსის (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა) ოპტიმიზაცია ერთ სასწავლო კურსად, გამოთავისუფლებული კრედიტები კი ზემოთ აღნიშნულ სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს დაეთმობა. მით უმეტეს, რომ როგორც სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების პროცესში გაირკვა, სასწავლო კურსის „დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა" შესწავლისას დარგობრივი ტექსტის თარგმანის საშუალება მხოლოდ ერთხელ მიეცათ. შესაბამისი სილაბუსიც ამას ადასტურებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პროგრამის მიხედვით სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობაა 10, თუმცა იმის გამო, რომ ამ მოდულიდან არჩევა კურიკულუმის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ მე-3 სემესტრში, ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ერთის მხრივ სტუდენტისათვის გარკვეული მიმართულებით სწავლის კონცენტრირების და გაღრმავებისათვის შესაძლებლობას, მეორე მხრივ - ცალკეული მნიშვნელოვანი სასწავლო კურსების არჩევის ალბათობასაც. ერთი შეხედვით არჩევანი დიდია, თუმცა რეალური არჩევანის შესაძლებლობა - მცირე.

წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი", რომლის ერთ-ერთი გაცხადებული მიზანია სტუდენტს შეასწავლოს: მევენახეობასა და აგროტექნიკაში- თანამედროვე სამეცნიერო საველე კვლევითი მუშაობის პრინციპების, კონკრეტულ პირობებში აგროტექნიკური ცდების თანმიმდევრული წარმოების თავისებურებების, მეღვინეობაში თანამედროვე მეთოდებისა

და მათი თანმიმდევრული მსვლელობისა და ვიზუალური და ორგანოლეპტიკური შემოწმებისას მიღებული მონაცემების დამუშავების შესწავლა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“; • სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); • სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვალი №407 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“. • პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; • წარმოდგენილი სამაგისტრო ნამუშევრები; • გამოკითხვის შედეგები. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში შემცირდეს უცხო ენის შემსწავლელი კურსების ECTS კრედიტების რაოდენობა. ეს შესაძლებელია ორი გზით: ან ერთ-ერთი სასწავლო კურსი (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა) გადავიდეს არჩევით მოდულში, ან მოხდეს ამ ორი სასწავლო კურსის ოპტიმიზაცია ერთ სასწავლო კურსად. გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან გადმოტანილ იქნას პროფესიული განვითარებისათვის უფრო მეტად ღირებული სასწავლო კურსი (ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ვაზის სელექცია; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამაში გაიზარდოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო დისციპლინების არჩევის შესაძლებლობა მინიმუმ ორამდე მაინც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული მეტწილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კომპონენტის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით.

პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები ერთობლიობაში ქმნის და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. სასწავლო მასალები წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროგრამა მოიცავს სპეციალობის 16 სავალდებულო სასწავლო კურსის 24 სილაბუსს და სპეციალობის არჩევითი კურსის 10 სილაბუსს. სასწავლო კურსების ნაწილს განსაზღვრული აქვს წინაპირობები.

სასწავლო კურსის „ამპელოგრაფია“ სილაბუსში -სასწავლო მასალების არც ძირითად და

არც დამატებითი წყაროების ველში არ არის მითითებული არც ერთი ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც მისცემს სტუდენტებს საშუალებას, გაეცნონ უახლეს მიღწევებს, უცხოურ გამოცდილებას. პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც თავისთავად გულისხმობს უცხოენოვანი დარგობრივი წყაროების გამოყენებას, რომელიც საკმაო რაოდენობითაა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი.

სასწავლო კურსის „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა“ სილაბუსში სადავოა მე-3 და მე-4 სალექციო თემები. ისინი განეკუთვნება მევენახეობის აგროტექნოლოგიის თემატიკას, ხოლო მე-13, მე-14 და მე-15 სალექციო მასალა - დარგის სამართლებრივი რეგულირების სფეროს. ამ სილაბუსშიც არ არის მითითებული ინგლისურენოვანი წყაროები.

სასწავლო კურსის „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ სილაბუსი მოიცავს საკმაოდ დიდ მასალას დაწყებული ყურძნის ქიმიური შესწავლიდან, დასრულებული ღვინის ჩამოსხმით, ამავდროულად კლასიკური ფრანგული შამპანიურის, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების, საბრენდე სპირტის, არაყისა და მაგარი სასმელების დამზადების ტექნოლოგიას. ამ ფონზე სილაბუსში არც ერთი სალექციო თემა არ ეხება ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრში ღვინის დაყენების ამჟამად უკვე საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ მეთოდს. ასევე არ არის განსაზღვრული მევენახეობა-მეღვინეობის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულება - ორგანული მევენახეობა-მეღვინეობა. აღნიშნული საკითხების ნაწილს ფარავს სასწავლო კურსი „ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია“, თუმცა ის არჩევითი საგანია და რეალურად მისი არჩევის ალბათობა სპეციალობის არჩევითი საგნების რაოდენობიდან გამომდინარე ძალიან მცირეა. ფაქტობრივად მეღვინეობის საკითხების შესწავლას სასწავლო კურსის მხოლოდ 10 სალექციო საათი ეთმობა, რაც ძალიან მცირეა მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამის მნიშვნელობით თვალსაზრისით ერთ-ერთი ცენტრალური სასწავლო კურსისთვის. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება დასახელებული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მიღწევა.

ძირითადი ლიტერატურის სიაში მითითებულია -ჰილარიუს პუტცი (2020) “მეღვინეობა” გერმანიის ტექნიკური დახმარების ფონდი (GIZ). აღნიშნული სახელმძღვანელო გვხვდება მთელ რიგ სხვა სილაბუსებშიც („მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“; „ღვინის ქიმია“). ის შექმნილია სპეციალურად უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციისათვის „მევენახე-მეღვინე“, როგორც სასწავლო მასალა პროფესიული სტუდენტებისთვის. სწავლების სამაგისტრო საფეხურისთვის ამ სახელმძღვანელოს გამოყენება ძირითად ლიტერატურად არარელევანტურია. ის გადატანილ უნდა იქნას დამხმარე ლიტერატურის ნაწილში. იგივე უნდა ითქვას ჰილარიუს პუტცის (2021) მეორე სახელმძღვანელოზე „მევენახეობა“, რომელიც ასევე გვხვდება რიგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურაში (მაგალითისთვის, „ამპელოგრაფია“; ვაზის ბიოლოგია და ფიზიოლოგია“).

სასწავლო კურსების „ღვინის ქიმია“ და „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“ სილაბუსებში სწავლების ენად მითითებულია ინგლისური ენა. პროგრამაში არ იძებნება ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ ამ ორი სასწავლო კურსის სწავლება მიმდინარეობს

ინგლისურად, ამას არ ადასტურებენ არც სტუდენტები.

სილაბუსში „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“ განმარტებულია სასწავლო კურსის მიზანი: სტუდენტს შეასწავლოს ღვინის ხარისის კონტროლის ლაბორატორიული ანალიზის მეთოდები. რეალურად სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ეუფლებიან ტკბილისა და ღვინის გაღრმავებული კვლევებისათვის გამოსადეგ ქიმიურ და ფიზიკურ ინსტრუმენტალურ ანალიზებს. სამაგიეროდ სილაბუსში არ აქვს ადგილი დათმობილი ყურძნისა და ღვინის ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელ ისეთ აუცილებელი ანალიზის მეთოდების შესწავლას, როგორებიცაა: შაქრიანობის, ტიტრული და მქროლავი მჟავიანობის, თავისუფალი და საერთო გოგირდის, ეთილალკოჰოლის და სხვა პარამეტრების განსაზღვრა.

აღნიშნული სასწავლო კურსი მთლიანად ლაბორატორიულია (30 საკონტაქტო საათი). შუალედური შეფასების მეთოდი ითვალისწინებს საშინაო დავალებას ტესტირების წესით და ლაბორატორიულ სამუშაოს, ხოლო შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება მხოლოდ ტესტირებით. უფრო ადეკვატური იქნებოდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებები სტუდენტებმა მიიღონ უშუალოდ ლაბორატორიაში მათ მიერ ლაბორატორიული ანალიზების პრაქტიკულად განხოციელების და/ან ანალიზის მეთოდების პრინციპის, არსის და ტექნიკის ფლობის დემონსტრირების საფუძველზე.

სასწავლო კურსის „მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“ სილაბუსის მიზანიც და შედეგიც ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლების განსაზღვრის, ღვინის ზადის, ნაკლის და დაავადებების ამოცნობის თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბებაა. სალექციო კურსის მხოლოდ ერთი თემა მოცავს გაერთიანებულად საკმაოდ დიდ მასალას, ახალი და ძველი მსოფლიოს ღვინის მწარმოებელ რეგიონებს, ვაზის ჯიშებს, წარმოებულ პროდუქციას, ღვინისა და საკვების შეხამებას. სილაბუსით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (44 საათი 45-დან) ეხება ღვინის სენსორული ანალიზის საკითხებს. ამიტომ სასწავლო კურსის სახელწოდებაში „მსოფლიო ღვინო პროდუქცია“ უადგილოა.

სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდიკა და ექსპერიმენტი“ სილაბუსი მოიცავს სალექციო და პრაქტიკის კომპონენტებს. პრაქტიკის ობიექტად განსაზღვრულია ქვევრებით აღჭურვილი ღვინის საწარმო. თუმცა სილაბუსში გაწერილი პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად არ არის სავალდებულო, ეს კონკრეტული დავალებები განხორციელდეს მაინცა და მაინც ქვევრებით აღჭურვილ საამქროში. მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიცაა. უფრო სწორი იქნება, თუ პრაქტიკის ობიექტად განისაზღვრება ყურძნის გადამამუშავებელი კლასიკური ინფრასტრუქტურის მქონე საწარმო, სადაც შესაძლოა ქვევრებიც იყოს. ასეთი თვითშეზღუდვა მხოლოდ დააბრკოლებს და გაართულებს პრაქტიკის ტექნიკურად განხორციელებას, მით უმეტეს, რომ მოცემული მომენტისათვის პროგრამა პრაქტიკული კომპონენტის განხოციელებისას მთლიანად დამოკიდებულია ღვინის ინდუსტრიაში ოპერირებად პარტნიორ კომპანიებზე.

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- პროგრამის სასწავლო კურსები;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ გაიზარდოს მეღვინეობის ფუნდამენტური საკითხებისათვის განკუთვნილი სალექციო საათების რაოდენობა, დაემატოს ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის და ორგანული/ბიოდინამიური მეღვინეობის აქტუალური საკითხები.
- რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ყურძნისა და ტკბილის ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების შესწავლა შესაბამის სასწავლო კურსში „ღვინის ქიმია“ ან „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსებში ჩასწორდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი. ჰილარიუს პუტცის სახელმღვანელოები „მევენახეობა“ და „მეღვინეობა“ გადატანილ იქნას შესაბამისი სილაბუსების დამატებით ლიტერატურაში.
- სასწავლო კურსებში „ამპელოგრაფია“ და „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა“ სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურაში მიეთითოთ შესაბამისი მიმართულების თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროები.
- სასწავლო კურსის „მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“ სახელწოდებიდან ამოღებულ იქნას „მსოფლიო ღვინო პროდუქცია“ და ეწოდოს „ღვინის სენსორული შეფასება“.
- სასწავლო კურსში „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“ სტუდენტთა სწავლის შეფასების მეთოდები შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეიცვალოს და გახდეს მთლიანად ლაბორატორილი კურსისათვის უფრო ადეკვატური.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, მაგისტრანტთა პრაქტიკული და სამეცნიერო უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სწავლის შედეგების მისაღწევად ძალზედ მნიშვნელოვანია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც 10 კრედიტის მოცულობითაა პროგრამაში წარმოდგენილი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც საველე პრაქტიკა მევენახეობაში და საწარმოო პრაქტიკა ღვინის საწარმოში.

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის ნიშნულ პროგრამაში 40 ECTS კრედიტს შეადგენს და მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას.

უნივერსიტეტს შემუშავებული და ვებგვერზე განთავსებული აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, თუმცა, კომისიის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნამუშევრების განხილვამ ცხადყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია აღნიშნული სახელმძღვანელო ნორმების დარღვევით კვალიფიციური სამეცნიერო სამეტყველო ენის უგულებელყოფით.

სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების დაგემვის, აკადემიური წერის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დანერგვა და დაცვა მეტად მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურის აკადემიური დონისათვის.

საჭიროა, მაგისტრანტებმა დეტალურად შეისწავლონ კვლევის ეტაპების დაგეგმვა, აქტუალურობის განსაზღვრა, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბება, წყაროთა მოძიება-ანალიზი, შედეგების შეჯამება, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, დასკვნებისა და მიგნებების ფორმულირება, პრეზენტაცია და სხვ. ყოველივე ეს ეხმარება მათ სრულყოფილი და ხარისხიანი აკადემიური კვლევის ჩატარებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაში და ამზადებს მომავალი, სადოქტორო საფეხურის მკვლევარის მომზადებაში, რაც არის კიდეც სამაგისტრო საფეხურის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აკრედიტაციის პროცესში ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; მონაწილეობა მიიღონ იმ სამეცნიერო - კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების პაკეტში არ იძებნება. როგორც სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, საგრანტო -კვლევით პროექტებში სტუდენტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები); • კონფერენციების მასალები; • შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სასწავლო კურსი, რომლის მიზანი იქნება აკადემიური წერის ჩვევების განვითარება მაგისტრანტებისთვის, მათ მიერ მეცნიერული აზროვნებისა და ადეკვატური ტექსტების შექმნის უნარის გამომუშავება, დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე და მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული ლაბორატორიული ბაზების ეფექტიანი გამოყენებით საგრანტო-სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გააქტიურება და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენება ისე, რომ გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა და სასწავლო კურსებით მისაღწევი შედეგები. საკუთრივ, თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევების შესწავლა (Case study), დემონსტრირება, ინდუქცია, ლაბორატორიული მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, წერითი, ელექტრონული სწავლება (E-learning), დედუქცია, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.
• **მტკიცებულებები/ინდიკატორები** • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“; • სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);

- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf;
- გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის

დამტკიცების შესახებ“.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. ელექტრონულ უწყისს აქვს შეტყობინების ფუნქციაც, რომლის გამოყენებითაც სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო კურსის პროფესორთან უშუალოდ დაამყაროს კავშირი და მიიღოს რჩევები მისი ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ; სტუდენტი ინფორმირებულია სტუ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ; სტუ-ში სტუდენტს აქვს სწავლი შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება.

სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დასვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, სამაგისტრო ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე, დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი და თან ერთვის მათ პირად ინფორმაციას.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.

შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მევენახეობა და მეღვინეობა“;
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://leqtori.gtu.ge/2020_2021/I/B/info;
- აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 22 იანვარს დამტკიცებული №198 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ობიექტური შეფასებისათვის სამაგისტრო დაცვების კომისიის თავმჯდომარედ მოწვეულ იქნას დარგის სპეციალისტი, რომელიც დაცვის მომენტისათვის არ არის უსდ-ს აკადემიური პერსონალის წევრი და ასევე

რეცენზენტად შერჩეულ იქნას პირი, რომელიც რეცენზირების დროს არ არის უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების თაობაზე, ამასთან, ისინი იღებენ მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სტუდენტებს აღნიშნული ინფორმაცია ეგზავნებათ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემის, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლისა და იქ არსებული სასწავლო გარემოს შესახებ, აგრეთვე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც სტუდენტებს ეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. ამასთან, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდსა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებისგან საჭირო ინფორმაციის მიღებისა და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეძლებისდაგვარად ცდილობს გაითვალისწინოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ის ინიციატივები, რჩევები და რეკომენდაციები, რაც პროგრამის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სასწავლო კურსებთან და ლექტორებთან მიმართებით პერიოდულად ტარდება ნებაყოფლობითი გამოკითხვები, ხშირ შემთხვევაში ანონიმურად. რა დროსაც კითხვარების შევსება ნებაყოფლობითია. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, მათი ინიციატივები უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი და საგულისხმოა. ფაკულტეტზე, ასევე, ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია, რომელიც სტუდენტის სასწავლო ბარათის მოხერხებულ გამოყენებას უზრუნველყოფს.

მევენახეობის და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე, თუმცა, სასურველია, სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს პრაქტიკულ კომპონენტზე და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე. ფაკულტეტი თანამშრომლობს ბაზარზე არსებულ არაერთ წარმატებულ კომპანიასთან, სადაც ხდება სტუდენტების დასაქმება და სტაჟირება. გარკვეული პერიოდულობით იმართება დასაქმების ფორუმები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში გამოკითხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთაგან მხოლოდ რამდენიმეა დასაქმებული უნივერსიტეტის ხელშეწყობით. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად, დადგინდა, რომ პირველსემესტრელი მაგისტრანტებისთვის იმართება საორიენტაციო, საინფორმაციო შეხვედრები, რომელსაც ესწრებიან ლექტორები, რა დროსაც ხდება პროგრამის გაცნობა ჩარიცხვის მსურველთათვის. ფაკულტეტი აქტიურად ცდილობს შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, სადაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია სტუდენტთა სასწავლო მობილობა, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და მათთან ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ● მევენახეობა და მეღვინეობის სამაგისტრო პროგრამა; ● მემორანდუმები პარტნიორ კომპანიებთან. ● უნივერსიტეტის ვებგვერდი; ● სასწავლო საგნების სილაბუსები; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პროგრამის სილაბუსებში კონკრეტულად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ფაკულტეტზე არსებული კონსულტაციების შესახებ. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

უნივერსიტეტის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც მიღებული აქვს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები სტუდენტის საკვლევ თემასთან დაკავშირებით. სამაგისტრო თემის ხელმღძვანელი შესაძლებელია იყოს ასევე სტუს-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აგრეთვე, სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება/ მემორანდუმი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს პროგრამის აუცილებელ კომპონენტს, რომელიც გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ

მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში. სამეცნიერო ხელმძღვანელს მჭიდრო კომუნიკაცია აქვს სტუდენტებთან ნაშრომზე მუშაობის პროცესში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ნაშრომის მომზადებისას თითოეული ეტაპი განიხილონ თემის ხელმძღვანელთან. თავდაპირველად თანხმდება თემის სათაური, შემდეგ კი - სტრუქტურა, შინაარსი, დგება სამუშაო ვერსია და ა.შ. მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით. ასეთი უკუკავშირის მეშვეობით დგინდება, რამდენად გამართულად, ხარისხიანად, შედეგზე ორიენტირებულად მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესი.
აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში (5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია, დანართი 7) რიგი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად ფიქსირდება კვლევის თემატიკიდან გამომდინარე შეუსაბამო პროფილის პირები. ამ საკითხის შესახებ დასმულ კითხვაზე პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დოკუმენტში ხარვეზია გაპარული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილების დანართი 2 (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი);
- 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია, (დანართი 7);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პერსონალი. აქედან აკადემიური პერსონალია 8; რომელთაგანაც 4 აფილირებული პროფესორია, 4 აფილირებული ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განსახორციელებლად მოწვეულია 8 პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული საქმიანობით; აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება უნივერსიტეტში ხორციელდება სათანადო კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მეშვეობით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით, სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტის სტანდარტს. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით: სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით. პროგრამის ხელმძღვანელი მუდმივად მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, მის მოდიფიცირებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები; პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები; • კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები • http://gtu.ge/pdf/kon/konkursi_2017/konkursi_2017_1.pdf

- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება
- https://gtu.ge/Agro/debuleba.php
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
- ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები;
- ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია საფაკულტეტო კომისიები, რომლებიც აფასებენ მეცადინეობების ხარისხს, კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შედეგებს, აკეთებენ შესაბამის დასკვნებს და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და წახალისების ფორმად დამატებით გამოიყენება საბონუსე სისტემა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა, რომელსაც ითვალისწინებს ფაკულტეტის ბიუჯეტი. აკადემიური პერსონალი იყენებს სასწავლო მასალებს და სასწავლო ტექნიკურ საშუალებებს მათი ეფექტური მიწოდების მიზნით; მომზადებულ მასალებს ადვილად ხელმისაწვდომს ხდის სტუდენტებისათვის; ეხმარება ასისტენტს ან შემცვლელ ლექტორს და აწვდის მათ ყველა საჭირო ინფორმაციას. სტუ-ში ფუნქციონირებს საფაკულტეტო კომისიები, სტუ-ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273) „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“), რომლებსაც სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად ევალება აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის და საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობის შეფასება. მეცადინეობების ხარისხის შეფასების პროცესი წარიმართება მეცადინეობაზე ფიზიკური დასწრებით. საფაკულტეტო კომისია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს შეფასებებს დადგენილი ფორმით, რომლის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამზადებს ოქმს, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტის პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისთვის ფაკულტეტზე სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები, ხდება შედეგების შეფასება და ანალიზი. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება და სხვა. როგორც პროგრამის თვითშეფასებაშია აღწერილი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობებში, რაც თავის მხრივ გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ფაკულტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს აკადემიური პერსინალის სახელმძღვანელოების და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას. თვითშეფასების ანალიზში დეტალურად უნდა იყოს ჩამოთვლილი აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონფერენციების თუ სემინარების სახელები და ჩატარების დროები, ასევე აკადემიური სახელმძღვანელოების და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებისათვის გაწეული მომსახურება. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის, მეცნიერ-თანამშრომლებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდასაჭერად, დონორ ორგანიზაციებში საპროექტო განაცხადების წარდგენის დროს გამოყოფილი თანადაფინანსება. ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტებში განსაზღვრული უნდა იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები, აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო და კარიერული აქტივობის დაფინანსების/წახალისებისათვის განკუთვნილი ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; • პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; • „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის №531 დადგენილება; http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shefaseba.pdf • „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის №450 დადგენილება; http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf • აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი; • ვებ -გვერდი - „პროფესიული განვითარების ცენტრი“ http://hpep.ge/ge/ • ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • გამოკითხვის შედეგები; • პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზი; • აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
სასურველია, ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტებში განსაზღვრული იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები, აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო და კარიერული აქტივობის დაფინანსების/წახალისებისათვის განკუთვნილი ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით სასწავლო ლაბორატორიები, ლაბორატორიული აღჭურვილობა და ინვენტარი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები, სამედიცინო პუნქტი, რაც როგორც რაოდენობრივად ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საწარმოო და საველე პრაქტიკის ობიექტები იმგვარადაა შერჩეული, რომ უზრუნველყოფს პრაქტიკაზე განსახორციელებელი სამუშაოების შეუფერხებელ შესრულებას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. სასწავლო კურსის შესწავლისას გამოყენებული ლიტერატურა ემყარება დარგის აქტუალურ მიღწევებს. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით, სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონული მონაცემთა ბაზით, ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review. სტუ, აგრეთვე, მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია

ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციუმში მონაწილეობით სტუ-ის მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier. აღსანიშნავია, რომ მომავალში დაგეგმილია ბაზების გაფართოება.
სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ, ვინაიდან ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და ასევე ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

მოცემული მომენტისათვის უნივერსიტეტს არ გააჩნია მის მფლობელობაში არსებული საცდელი სავენახე ნაკვეთი და მეღვინეობის საწარმოო ბაზა , თუმცა წარმოადგინა დაგეგმილი საწარმოს აღჭურვისათვის საჭირო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი (დანართი 11.)

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ობიექტებთან;
- სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: http://gtu.ge/Library/
- სტუ- ს ბიბლიოთეკის კატალოგი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და მისი ფილიალებით სარგებლობის წესი https://gtu.ge/Library/Pdf/sarg_wes_2020.pdf
- სტუ-ის უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- სტუ-ს მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიული ბაზის აღმწერი დოკუმენტები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.
- შესყიდვების აქტი (დანართი 11).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მდგრადობისა და სტაბილური განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი საწარმოო ბაზის არსებობა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ და უშუალოდ სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილი თანხები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტში ცენტრალიზებულად (უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით). უნივერსიტეტის მიერ, ერთიანი ბიუჯეტიდან, ფაკულტეტისთვის პროცენტულად ხდება თანხის გამოყოფა, რომელსაც ფაკულტეტი ანაწილებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილ ყველა პუნქტზე. ფაკულტეტის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრება ფინანსები ფაკულტეტზე

არსებული პროგრამებისათვის, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა, ეკონომიკურად მიღწევადია, ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის კატეგორიები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის ბიუჯეტი არ არის დეტალურად გაწერილი. როგორც ინტერვიუს პროცესში ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, იგი შეადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ნაწილს და მისი დაკორექტირება ხდება საჭიროების შესაბამისად, პროგრამის ინტერესებიდან გამომდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი; • ფაკულტეტის ბიუჯეტი; • სტუ-ის ბიუჯეტი. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს ხელმძღვანელობს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. სამსახურის დებულების მიხედვით, მისი მიზანია უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხისა და რესურსების სისტემატური შეფასება, საჭიროების შემთხვევაში რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას საფუძვლად უდებს როგორც ბოლონიის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოს, იუნესკოსა და სხვა ოფიციალური და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ უცხოელი ექსპერტების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს/სახელმძღვანელო პრინციპებს, ისე საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. ხუს საგანმანათლებლო საუნივერსიტეტო სერვისებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარების მიზნით ხელმძღვანელობს PDCA ციკლით, რაც მოიაზრებს პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების უწყვეტ პროცესს. ამავე ციკლის პრინციპების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, შეფასება და განვითარება, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“-ს. დოკუმენტი წარმოადგენს მკაფიო და დეტალურ გზამკვლევს იმისა, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს უმაღლესი საგანანმანათლებლო პროგრამა და რა პროცედურები უნდა განვლოს პროგრამის შემმუშავებელმა გუნდმა მის განსახორციელებლად. აღნიშნული წესის თანახმად, პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, და მისი დაგეგმვა-შემუშავებისა თუ მოდიფიცირების პირველ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნები. ამასთან, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე – შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა მხარეები (არსებობის შემთხვევაში) (აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/261, 2019 წელი, 23 სექტემბერი).

საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში 2018 წლიდან შემუშავებულია და მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი. დოკუმენტი გამოყოფს ისეთ ქვეთავებს, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის შემუშავების პრინციპები, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტები (მოიცავს: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, პროგრამების შემუშავება-დამტკიცებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა, სწავლებას და შეფასებას, მასწავლებლებს/ლექტორებს, მატერიალურ რესურსებს, მიმდინარე მონიტორინგსა და პროგრამების პერიოდულ შეფასებას და ა.შ.). ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმების მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა. დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი, რაც ძირითადად წარმოდგენილია სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, პედაგოგების, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში დანერგილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ერთი მხრივ, სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, დაწესებულებას აძლევს საშუალებას პერიოდულად დაადგინოს და განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონე, ასევე, შეაფასოს პროგრამის განხორციელების ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, სტუ-ში რექტორის ბრძანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილია კომისია, რომელიც ამოწმებს პროგრამითა და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ ლაბორატორიულ აღჭურვილობას, სათანადო ლიტერატურას, პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსს, აუდიტორიებსა და განსაზღვრავს ყველა იმ ინდიკატორს, რომლებიც საჭიროა პროგრამის შიდა მონიტორინგისთვის. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისთვის გამოყენებულია: პროგრამის ხელმძღვნელის/ხელმძღვანელების, ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგი, პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები, არსებობის შემთხვევაში გარე

შემფასებლების მიერ და სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაციები) ჩატარებული შეფასების შედეგები.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის ადმინისტრაციული პერსონალი, ისევე როგორც პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს. თუმცაღა, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცედურების შესახებ ინფორმაციის ფლობისა და აღნიშნულ პროცესებში აქტიური თანამონაწილეობის პრობლემა. პროგრამის ხარისხის შეფასების პროცედურებისა და შეფასების მექანიზმების შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. გასაუბრებისას, სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მხრიდან არ დადასტურდა საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის (მათ შორის, კურიკულუმის რუკის) შესახებ ინფორმირებულობა და შეფასების მექანიზმების შემუშავების პროცესებში თანამონაწილეობა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში აქტიური თანამონაწილეობა.

ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, არ დადასტურდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პროგრამის მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში აქტიური მონაწილეობა. მართალია, მათი მხრიდან დადასტურდა საუნივერსიტეტო გამოკითხვების არსებობა, მაგრამ ნაკლებად გამოიკვეთა პროგრამის სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის პრაქტიკა. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის დამსაქმებლების მხრიდან ინტერვიუერების პროცესში მრავალგზის ხაზგასმით აღინიშნა პროგრამის შეფასებისა და მოდიფიცირების მიმართულებით დაწესებულებასთან აქტიური თანამშრომლობა. მათი თქმით, პროგრამის პერსონალმა გაითვალისწინა დამსაქმებელთა მოთხოვნები, რომლებიც შეეხებოდა პროგრამის მიღების წინაპირობებს, პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, პრაქტიკული კომპონენტის გაზრდას, პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული აქტივობების გამრავალფეროვნებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის 01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „სტუ - ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი https://gtu.ge/quality/
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და განხორციელებული ცვლილებები;

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში აქტიური თანამონაწილეობა.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშით, თანდართული დოკუმენტებითა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამა იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებს, როგორიცაა: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები და ამ პროცესთა ფარგლებში მიღებული ექსპერტთა რეკომენდაციები და რჩევები; დამოუკიდებელ, უცხოელ და ქართველ ექსპერტთა შეფასებები, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ანგარიშები, დაინტერესებული მხარეების, კერძოდ კი, დამსაქმებელთა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენელთა შეფასებები და ხედვები. ზემოაღნიშნული მიზნით, პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენებულია 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, სტუ-ს მიეცა რეკომენდაცია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების დახვეწაზე. რეკომენდაციის პასუხად, წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე განხორციელდა გარკვეული აქტივობები: საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა საფაკულტეტო კომისიები; შემუშავდა სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის შეფასების კითხვარი, რომელმაც მათ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება მისცა როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარების შესახებ. გარე შეფასების მიზნით წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა დაეგზავნათ პოტენციურ დამსაქმებლებსა და 2 უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტის (მილანისა და სუპაგროს უნივერსიტეტები) აკადემიურ პერსონალს. გარე შემფასებლების მიერ გამოკვეთილია პროგრამის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები. ასევე, პროგრამის განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები, რაც შეიძლება ახლდეს პროგრამის წარმოდგენილი ფორმატით განხორციელებას. გარე შემფასებლების დასკვნებში გამოკვეთილია ისეთი საკითხები როგორიცაა პროგრამის მიღების წინაპირობების დაზუსტება, საკონტაქტო საათების გაზრდა, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, კურიკულუმის სტრუქტურა და კურსების პრერეკვიზიტების დაზუსტება და სხვ. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შესაბამისი განხილვების საფუძველზე გათვალისწინებულია რიგი რეკომენდაციები და რჩევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი https://gtu.ge/quality/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო თუ კვლევითი პროცესის შეფასება სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მონაწილეობით. ამ მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. პროგრამის შეფასება და პერიოდული მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, სადაც რესპონდენტებს შესაძლებლობა აქვთ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებებია პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, მატერიალური რესურსების და სხვათა შესახებ. შესაბამისად, უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს და შემუშავებული აქვს სისტემური გამოკითხვის ფორმები (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის), პერიოდულად ახდენს მათ განახლება-გაუმჯობესებას. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებულია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვები. გაანალიზებულია გამოკითხვის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიშების სახით და ასახულია პროგრამის მოდიფიცირებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში; ამას გარდა, შესწავლილი და გაანალიზებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები; შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (რუკები). გარდა ამისა, უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული შეფასების პრაქტიკა. მიღებული შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული ზრდა-განვითარების ხელშეწყობისთვის. „მევენახეობა და მეღვინეობა“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეფასდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობა, დადგინდა პერსონალის კმაყოფილების დონე, შეფასდა მათ მიერ განხორციელებული სალექციო და სასემინარო მეცადინეობების ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით სტუ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისგან. „კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას“ (№ 01-05-04/108 დადგენილება, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, 2018, გვ. 17). აღნიშნული კომისიის მიერ კოლეგიალური შეფასების ფარგლებში შეფასებული იქნა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,მევენახეობა და მეღვინეობა“ განმახორციელებელი

აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და გამოტანილი იქნა დასკვნები.

აღსანიშნავია, ექსპერტთა ონლაინ ვიზიტისას, მას შემდეგ რაც შესწავლილ იქნა სამაგისტრო ნაშრომები და ჩატარდა შესაბამისი გასაუბრებები სამიზნე ჯგუფებთან, გამოიკვეთა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის საჭიროება. სახელდობრ, სამაგისტრო ნაშრომების შესწავლამ ცხადყო, რომ სასურველია გამკაცრდეს და დაიხვეწოს მათი შესრულების კრიტერიუმები, რათა სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ და დაცულ იქნას მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტი. ამ მიმართულებით, სასურველია სტუდენტებში ამაღლდეს, რიგ შემთხვევებში კი, გამომუშავდეს აკადემიური და სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო უნარები (მაგ., სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში წერითი დავალებების გამრავალფეროვნებით. განსაკუთრებით კი ისეთი დავალებების, რომლებიც შეიცავენ აკადემიური წერისა და სამეცნიერო ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო კომპონენტებს). რეკომენდებულია, ზოგადი ტენდენციის დადგენის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, პირველ ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს პერიოდული მონიტორინგი დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა, ხოლო მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, შემდგომ ეტაპზე, უზრუნველყოს უნივერსიტეტის გარე დარგის წარმომადგენლის/ექსპერტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებში. მიგვაჩნია, აღნიშნული აქტივობა საერთო ჯამში ხელს შეუწყობს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება https://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი https://gtu.ge/quality/
- სტუ–ს რექტორის ბრძანება (19.11.2019 № 01-09-10/273), ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/5_20_0001170216.pdf;
- სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadg531.pdf;
- სტუდენტების კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- დამსაქმებლების კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- პერსონალის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების მონიტორინგის ოქმები;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, პირველ ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს პერიოდული მონიტორინგი დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა, ხოლო მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, შემდგომ ეტაპზე, უზრუნველყონ უნივერსიტეტის გარე დარგის წარმომადგენლის/ექსპერტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: „მევენახეობა და მეღვინეობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ოლანი გოცირიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ედვარდ შერმადინი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინი ხუბულია